ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 273

“ 1 ” ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №43 (ს/კ №01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ 205176628) და სს ,,ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405375277) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. №43 (ს/კ №01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ 205176628) და სს ,,ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405375277) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 სექტემბრის №20.1119.1405 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ 205176628) და სს ,,ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405375277) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №43 (ს/კ №01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 12.4-ით, თუმცა, შენობა-ნაგებობის ყველა ბლოკისთვის საერთო ფართობით არაუმეტეს 142 979 კვადრატული მეტრისა;

ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს 0.9-ით და მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს 0 -ით;

გ) წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისი კორექტირებული არქიტექტურული პროექტის და მშენებლობის ნებართვის გაცემისას გათვალისწინებულ იქნას შემდეგი:

გ.ა) მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობების განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისის დადგენა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად;

გ.ბ) სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნებისაგან გათავისუფლება;

გ.გ) ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (280 ავტოსადგომი);

გ.დ) ავტოსადგომზე მოსახვედრი და მოძრაობის სქემის წარმოდგენილი სახით შეთანხმება;

გ.ე) ქალაქთმშენებლობითი პირობებით დადგენილი ინსოლაციის მოთხოვნებისაგან გათავისუფლება;

გ.ვ) ფასადის მოსაპირკეთებელი მასალების ცვლილება, ლესვა-ღებვის პროცენტულობის გაზრდილი მაჩვენებლის დაშვება;

2. ,,ა" ბლოკის ,,ა" კორპუსი მიჩნეულ იქნეს დაუმთავრებელ მშენებლობად და მასზე გავრცელდეს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ყველა ხელშემწყობი ღონისძიება.

3. ი/ბ ამხანაგობა ,,ოლიმპიურ ვარსკვლავსა" და სს ,,ნიუ დეველოპმენტს" შორის 2020 წლის 24 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით (ცვლილების თარიღი - 2020 წლის 14 სექტემბერი) გათვალისწინებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 18 სექტემბრის №6 სხდომის ოქმში კომისიის მიერ დადასტურებული ვალდებულებების გარდა, იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის" ყველა სხვა ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს იბა ,,ოლიმპიური ვარსკვლავის" თავმჯდომარის, ზაზა რაზიკაშვილის, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართიდან - 11 474.4 კვ.მ.-დან.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**